საქართველოს ეკონომიური ისტორია

პირველი ნაწილი (VIII—XIII საუკ.)

თავი პირველი

მიწის მფლობელნი და მიწის მიმკმელნი,—აზნაურები და გლეხები.

უძველეს ხანაში ქართველებმა არ იცოდენ, რა იყო წოდებრივი უთანასწორობა. ეს მე-IX საუკ. ქართველმა ისტორიკოსებმა ლეონტი მროველმაც იცის და ახსოვს, რომ ერთ დროს ქართველები თავისუფალი იყვენ მდგომარეობისა და შეძლების განურჩეველად. წოდებრივ დამოკიდებულების პირველი კვალი პირველ საუკუნის დასაწყისს უკვე ეჩნევა, ეს ნათლად სჩანს ბერძნების გამოჩენილ გეოგრაფის სტრაბონის აღწერილობიდან. მაგრამ ამ დროს მარტო მეფის ანუ მამასახლისის საგვარეულო ჰყავდა ყმები, რომელნიც მიწაზე ისხდენ და მათ ჭირნახულით და ყოველგვარ შემოსავლით ემსახურებოდენ (ამის შესახებ ცნობები იხ. ჩემ გამოკვლევაში Государст. строй древ. Грузіи и древн. Арменіи, томъ I). სამწუხაროდ, არავითარი წყაროები არ მოიპოვება შემდეგ დროის შესახებ, რომ მეცნიერს შეესწავლა, თუ როგორ მოხდა, რომ ყმობა საყოველთაო და საზოგადო მოვლენად და დაწესებულებად გადიქცა. ანუ როგორ დამყარდა საქართველოში წოდებრივი უთანასწორობა. ჩვენი საისტორიო მასალები მხოლოდ იმ დროინდელ საქართველოს შესახებ გვაძლევენ ეკვმიუტანელ ცნობებს, როცა ერი უკვე გარკვეულ წოდებებად იყო დაყოფილი. მე-IX—XIII ს. ს—ში საქართველოს ერთი კუთხეც არ მოიძებნებოდა, მთიან ადგილების გარდა, სადაც აზნაურები არა ყოფილიყვენ: ქართლის ცხოვრებაში მოხსენებულნი არიან, მაგალითად, შემდეგი მაზრების აზნაურნი: ქართლოსანი (ზ. ჭიჭინაძის გამოც. გვ. 293, 294, 315, 427), ჰერეთ-კახეთისანი (ibid. 294, 310, 326, 351, 427, 429), ტაოელნი (ibid. 315, 317, 318), მესხნი (ibid 295, 327, 426, 427), ბავშნი (ibid. 343), აფხაზეთისანი (ibid. 301) და სომხითისანი (ibid. 427). ერთს სხვა თხზულებაში (Государ. строй др. Грузіи. и др. Арменіи, томъ I) გამოვარკვიე, რომ აზნაურობა გვაროვნობითი თვისებაზე იყო დამოკიდებული, უძველეს ხანაში განსაკუთრებით დიდგვარიანობაზე. ამ დიდგვარიან აზნაურებს ჩაუვარდათ ხელში ქვეყნის გამგეობის უფლება მას შემდეგ, როცა სპარსეთის სასანელთა გვარის მეფეებმა საქართველოში მეფობა მოსპეს. ეს პოლიტიკური ძალა აზნაურებს მეფობის აღდგენამდე ხელში ეპყრათ და შემდეგ ხანებშიც, ქართველ ხელმწიფეების დროსაც, ცდილობდენ იგი კვლავინდებურად შეენარჩუნებინათ; მათს ცდას სრულებით უნაყოფოდ და ამაოდ არ ჩაუვლია. ეს აზნაურები—გვარიან აზნაურებად იწოდებოდენ და შესაძლებელია, რომ ისინი ძველ მამასახლისთა გვარების ჩამომავალნი ყოფილიყვენ. როცა საქართველოში მეფობა განახლდა და გვარიანი აზნაურები თავიანთ უპირატესობის შერჩენისათვის ებრძოდენ მეფეებს, მაშინ უკანასკნელებმა დააწინაურეს თავიანთი ერთგული მოხელეები, რომელთაც თავდაპირველად მცირედი თანამდებობა ეჭირათ, მაგრამ მეფეების მიერ თანდათან ამაღლებულ და განდიდებულ იქმნენ, რომ ერთგულ და მორჩილ ხელისუფლებსა ჰქონოდათ სამეფოს გამგეობისა და მართვის საქმე და გვარიან აზნაურებს მეფის დალატი ვეღარ მოეხერხებინათ. ასეთ უგვარო, მაგრამ ნამსახურებ მოხელეებს ქართველი მეფეები აზნაურობასაც უწყალობებდენ ხოლმე და მამულებითაც უხვად აჯილდოვებდენ. ამ ნაირად

შესდგა აზნაურთა ახალი ჯგუფი, რომელთაც მსახურეულ აზნაურებს ეძახდენ ხოლმე (იხ. ამის შესახებ ჩემი გამოკვლევა „საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია“) რასაკვირველია, ამ მსახურ აზნაურებს და გვარიან აზნაურებს შორის დიდი შური და მტრობა არსებობდა და უკანასკნელნი ახლად გააზნაურებულ გვარისშვილებს თავის ტოლად არასგზით არ ჩასთვლიდენ, იმიტომ რომ თითონ გვარიანი და დიდი აზნაურები ბრძანდებოდენ, ისინი-კი —უგვარო და მცირე აზნაურები; მაშასადამე, აზნაურობა და აზნაური იყო ხოლმე დიდი და მცირე (იხ. შიომღ. ისტ. საბ. გვ. 28. 1202 წ. საბუთი), გვარიანი და მსახურეული ანუ მსახური. რასაკვირველია, როცა დიდგვარიანი აზნაური იმავე დროს მსახურეულიც იყო, მაშინ იგი უფრო ამაღლდებოდა და პატივი მოემატებოდა. ასეთ დიდებულ აზნაურებს თითონაც თავისი ხელქვეითი ანუ მსახური აზნაურები ჰყავდათ; მაგალითად, ვაჰანის მონასტრის დამაარსებელი ერისთავთ ერისთავი მხარგრძელი იხსენიებს „ჩუენსა სახლისა აზნაურსა და თუნდა მსახური... ნამსახური ოთხს და სპატიოჲ აზნაურსა შვიდსა“ (შიომღ. ისტ. საბ. 41). ასეთი დიდებულ აზნაურის მსახური აზნაური, ცხადია, ღირსებითაც დაბლა იდგა და ვერც მეფის მსახურ აზნაურს და ვერც გვარიანს ვერ შეედრებოდა. საბუთებიდანა ჩანს, რომ გვარიან და მსახურეულ აზნაურებს გარდა ზოგი აზნაური „მემამულედ“ ითვლებოდა, ზოგი კიდევ „მოსაკარგავედ“. მეფე გიორგი II თავის 1072 წელს შიომღვიმისადმი ნაწყალობებ სიგელში ამბობს: „აწ ვინცა ჴნახოთ ბრძანებაჲ და სიგელი ესე ჩუენი შემდგომად ჩუენსა მომავალთა მეფეთა, ერისთავთ ერისთავთა, ერისთავთა, აზნაურთა მემამულეთა და მოსაკარგავეთა და ყოველთა საქმის მოქმედთა დაუმტკიცეთ და ნუ ვინ უშალავთო“ (შიომღ. ისტ. რაბ. 12). უეჭველია, მემამულე აზნაურებად გვარიანნი და დიდგვარიანი აზნაურები უნდა ყოფილიყვენ, რომელთაც საგვარეულო საკუთრება მამაპაპეულად დამკვიდრებული ჰქონდათ. ქართულ საისტორიო წყაროებში, სახელდობრ სუმბატ დავითის ძის ქრონიკაში, აღნიშნულნი არიან აგრეთვე „უმრავლესნი აზნაურნი ტაოსა, რომელნიმე ციხეთა და რომელნიმე უციხოთ“ (ე. თაყაიშვილის გამოც. სამი ისტ. ქრონიკა). მაშასადამე, ზოგი აზნაურები ციხიანი ყოფილან ციხე-სიმაგრეები ჰქონიათ საკუთრებად, ზოგნი კიდევ უციხონი ბრძანებულან. უეჭველია, ციხიანი აზნაურები მემამულეები იქნებოდენ. ჩვენამდის მოაღწია მცხეთის საკათალიკოზო სამწყსოს სამცხე, საათაბაგოს აზნაურთა ნუსხა და იქ, მართლაც, თითოეულ გვარის შესახებ ნათქვამია მამულის გარდა საკუთარი ციხე აქვსო (იხ. Д. Бакрадзе. Археол. путеш. по Гуріи и Аджарѣ. გვ. 79 და შემდეგი). მაგრამ ამ საბუთის ძალით მკვლევარს არ შეუძლიან ის დასკვნა გამოიყვანოს, ვითომც თითოეულ მემამულე აზნაურს აუცილებლად ციხე უნდა ჰქონოდეს და ციხიანი ითვლებოდეს. მხოლოდ დიდგვარიან აზნაურებს ექნებოდათ საკუთარი ციხეები, მცირე და მსახურ აზნაურებს, თუ მათ მეფისაგან ციხისთავობის თანამდებობა ან ციხის პატრონობა ნაწყალობევი არა ჰქონდათ, ციხეები არ ეპირებოდათ. ზემოაღნიშნულ სამცხე-საათაბაგოს საკათალიკოზო სამწყსოს ნუსხაშიაც სწორედ მხოლოდ დიდგვარიანები არიან ჩამოთვლილნი და იმის გამოა აღნიშნული, რომ ციხეები აქვთო.

ვინ იყვენ „მოსაკარგავე აზნაურნი“, რომელნიც მემამულე აზნაურებთან ერთად არიან მოხსენებულნი? მოსაკარგავე აზნაურები, რასაკვირველია, მემამულისაგან განსხვავებული ყოფილან, თორემ მეფე გიორგი II თავისს სიგელში მათ ცალკე რად დაასახელებდა. „მოსაკარგავე სხვის დაკარგული საქონელია“, ამბობს ბ. ნ. ურნელი თავისს საინტერესო გამოკვლევაში — „ათაბაგნი ბექა და ალბუღა და მათი სამართალი“ (გვ. 214) და ეტყობა ეს სიტყვა დაკარგვისაგან ჰგონია ნაწარმოები. მაგრამ, მგონი, რომ უნდა სცდებოდეს. ამ სიტყვის ახსნა ძალიან ძნელია და ჯერჯერობით მთლად დაახლოებით შეიძლება მის მნიშვნელობის გამორკვევა. საბა ორბელიანი საკარგავს განსაგებელადა ხსნის, ალბად „განკარგვისაგან აწარმოებს, ქართლის ცხოვრებაში დავით აღმაშენებელის ისტორიაში ერთი წინადადება მოიპოვება, რომლის საშუალებით შესაძლებელია ამ სიტყვის მნიშვნელობა დაახლოებით მაინც შევიტყოთ. ისტორიკოსი ამბობს: მეფემ განა თავისუფლნა არა მონასტერნი ოდენ ლავრანი მოსაკარგეთა მაჭიერებელთაგან, არამედ ხუცესნიცა სამეფოსა შინა მისსა ყოვლისა ჭირისა და ბეგარისაგან, რათა თავისუფალთ სამღთო მსახურება მიუპყრან ღმერთსაო (გვ. 373). „მოსაკარგავ“ მნიშვნელობის გამოსარკვევად საჭიროა, რომ ამ წინადადების აზრი ნათლად გავითვალისწინოთ. მწერალი მოგვითხრობს, დავით აღმაშენებელს მარტო მონასტრები კი არ განუთავისუფლებია ბეგარათ გადასახადისაკან, არამედ მღვდლებიც,— რომ მარტო ღმერთზე ფიქრობდენ და მას მხოლოსა ემსახურებოდენო. ამიტომ წინადადების შინაარსიდან ჩანს, რომ წინადადების პირველ ნახევრის „გაანთავისუფლა „მოსაკარგეთა მაჭიერებელთაგან“ — მეორე ნახევრის — „გაანთავისუფლა „ყოვლისა ჭირისა და ბეგარისაგან“-ს უდრას; „ჭირი და ბეგარა“ ერთი და იგივეა, ანუ გადასახადსა და ბეგარასა ეთანასწორება. „ხლა“ მოსაკარგავე მაჭირვებელს“ რომ დავაკვირდეთ, მაჭირვებელი, რასა, კვირველია, „ჭირის“ ამღებს ანუ ამკრეფს უნდა ნიშნავდეს; ამგვარად ეს სახელი გადასახადების მომკრეფ მახელეს ეკუთვნოდა; მაშასადამე, „მოსაკარგეს“ ბეგარის განმკარგველს ანუ მომწესრიგებელს უდრას. ერთი სიტყვით ზემოთმოყვანილ წინადადებიდან ჩანს, რომ საგადასახადო დაწესებულებათა მოხელე უნდა ყოფილიყო, ხოლო ამისდამიხედვით „აზნაური მოსაკარგავე“ მოხელე აზნაურს ანუ მეფის მსახურ აზნაურსა ნიშნავს იგ, რასაკვირველია, არც თუ დიდი მამულის პატრონი იქნებოდა და მემამულე ტ გვარიან აზნაურების წრეს დაშორებული უნდა ყოფილიყო.

წოდებრივ მდგომარეობას რომ თავი დავანებოთ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში და შეძლებით ყველაზე მაღლა, უეჭველია, ის დიდგვარიანი აზნაური იდგებოდა, რომელიც მსახურეული იყო და საპატიო სახელმწიფო ხელისუფლობა ჰქონდა ნაბოძები, იმიტომ რომ საქართველოს მეფეები ეხვად აჯილდოვებდენ ხოლმე მოხელეებს. მაგრამ არც უგვარო, მეფის ერთგულ სამსახურით დაწინაურებული ჰოხელეები ჩამოუვარდებოდენ შეძლებითა და პატივით გვარიან აზნაურებს, რომელნიც საპატიო სახელმწიფო სამსახურს მოკლებული იყვენ. მეფეები არაფერს არა ზოგავდენ, რომ მათი მომხრე მოხელეები ყველაფრით მჯობნი თავიანთ მეტოქე დიდგვარიან აზნაურებს, და დიდძალს მამულებს უწყალობებდენ ხოლმე (იხ. „ქართ. ცხ“. 407—8). მაშასადამე, შეძლებით უგვარო დიდებული ხელისუფლები დიდგვარიან აზნაურებს არ ჩამოუვარდებოდენ. სამწუხაროდ, ჩვენ საისტორიო და იურიდიულ წყაროებში თითქმის არავითარი ცნობები არ მოიპოვება იმის შესახებ, თუ როგორ ამუშავებდენ მემამულენი თავიანთ საქმეებს, როგორ ამუშავებდენ მიწას. „გრიგოლ ხანმთელის“ ცხოვრებაში ორიოდე

ალაგი მოიპოვება, სადაც დიდებულ აზნაურის მეურნეობაზეა სიტყვა ჩამოგდებული, მაგრამ ისიც მეტად ბუნდად, გაკვირით. აზნაურს „თავის კეცები“ ჰყავდა (გრიგოლ ხანძთელის ცხ., გვ. კ“ე, პროფ. ნ. მარრის გამოცემა), რომელნიც მას საკუთარ „ტაძარში ახლდენ“ ხოლმე (ibid. გვ. კ“ე), და „მსახურების“ სახელი ერქვათ (ibid. გვ. ი“ვ); მამაკაცებს გარდა „მსახური დედაკაცებიც“ ჰყავდათ ხოლმე აზნაურებს (ibid გვ. ლ“ე). გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან ჩანს, რომ მთავარის ანუ ერისთავის სახლში მეურნეობის გამგეობას ქალს ამბარებდენ ხოლმე. მას „მეჯურჭლე ქალს“ ეძახდენ და ყველაფერი თვლით ჰქონდა მიცემული და თვლითვე უნდა ჩაებარებინა, როცა სამსახურს თავს დაანებებდა (ibid. გვ. ნ“ზ). მეჯურჭლე ქალს ხელქვეითი „მხევლები“ ჰყავდა (ibid. გვ. ნ“ვ, ნ“ზ). ზოგჯერ, როცა ქმარი შინ არ იყო ხოლმე, ცოლი განაგებდა მამულის საქმეს (ibid. ნ“ა). სამწუხაროდ, როგორ უძღვებოდენ აზნაურები ხვნა-თესვის საქმეს, ამის გამორკვევა მასალების უქონლობის გამო შეუძლებელია. ჩვენ ვიცით, რომ დავი თაღმაშენებლისა და თამარ მეფის დროს დიდებულ აზნაურებსა და მოხელეებს დიდი შეძლება უნდა ჰქონოდათ; მარტო სახელო და ნაბოძები მიწები, ზოგჯერ მთელი ქვეყნებიც-კი სრულებით საკმარისი იყო, რომ აუარებელი ქონება შეეძინა ადამიანს, მაგრამ ამ საკითხს ჩვენ გამოკვლევის საგანთან პირდაპირი კავშირი არა აქვს. საჭიროა ვიცოდეთ, რამდენად შეძლებული იყო უბრალო, გვარიანი აზნაური, რომელსაც მოხელეობით ზურგი გამაგრებული არა ჰქონდა. პირდაპირი ცნობები ამის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება. გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში გამოთქმულია ერთი მოსაზრება, რომელიც საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ, რა შეძლება ჰქონდა მე XI საუკ. ქართულ ოჯახს. ცხოვრების ავტორი ამბობს: არა უმეცარ ხარ შვიდთა ზრდასა,.. რამეთუ უკეთუ გის განუმრავდენ შვიდნა უფრის რიცხვსა, ვითარ არს შვიდ სა განა რვისა, რაზომ მდიდარი იყოს დიდსა ჭირსა და ურგასა შთავრდების, ხოლო უკეთუ კლასაკი იყოს ყოვლითურთ მწირე არს ცხოვრება მისი და აღსავსე ვაებითა (საეკლესიო მუზ. გამოც. გვ. 326) ცხადია, დიდი შეძლების პატრონი არ უნდა იყოს ის კაცი, რომელსაც შვიდ შვილზე მეტის გაზრდა ჭირსა და ურგაში ჩაგდებს. მე-IX საუკ, როცა საქართველო ჯერ კიდევ გაძლიერებული არ იყო, როგორც ეტყობა, დიდ აზნაურსაც-კი ქონება მოპარებული არა ჰქონია, თორემ, განა, დიდის ამბაულასადის ცოლი ბერებს მუყაითს მკას დაუშლიდა.“ მართალია ჩემი ქმარი ერთს ღლიურს ნამკალს დაგპირდათ, მაგრამ თქვენ ისე მარდად მიადექით, რომ ლამის სალამომდის მთელი ყანა გაათავოთო“ (გრიგოლ ხანძთელის ᲪᲮ ibid. გვ. ნ“ა)

აზნაურებს პირდაპირი დამოკიდებულება სოფლის გლეხებთანა ჰქონდათ. რომ უკეთესად გავითვალისწინოთ, რა ნაირი და რაზე დამყარებული იყო ეს დამოკიდებულება, საჭიროა თავდაპირველად გლეხების ეფლებრივი და ეკონომიური მდგომარეობა შევისწავლოთ.

სიტყვა გლეხი ძველი ქართული სიტყვაა. განსვენებულმა მეცნიერმა მ. ბროსსემ აღნიშნა უკვე, რომ სომხური სიტყვა գրեհիկ („გრეჰიკ“) ქართულ სიტყვას გლეხს მიეგვანება (Description Géogr. de la Géorgie, გვ. 9) გლეხებს, რაკი ისინი სოფლად და დაბებში სცხოვრობდენ ხოლმე. სოფლელნი ერისკაცნი, (გრიგ. ხანგთ. ცხ., ibidem. ი“ა), ანუ კაცნი „მდაბიონი“ (ibid. გვ. ნ“ე) ერქვათ. თავისუფალი იყვენ ეს „მსოფლიო“ და „მდაბიო“ ხალხი, თუ არა? საერთო პასუხის მიცემა, რასაკვირველია არ შეიძლება: ზოგი თავისუფალი იყო ზოგი კიდევ ყმებად ითვლებოდა. თავდაპირველად ჩვენ იმის საბუთებს მოვიყვანთ, რომ საქართველოში მე-IX—XIII ს. ს თავისუფალი გლეხები არსებობდენ, როცა ისტორიკოსი სუმბატ დავითის ძე აშოტ კურაპალატის შავშეთ კლარჯეთში დამკვიდრების ამბავს მოგვითხრობს, აღნიშნავს რომ არაბების შემდეგ იქ, მცირედღა დაშთეს კაცნი ადგილ-ადგილ, ხოლო დაშთომილთა მათ მკვიდრთა შავშეთისათა შეიწყნარეს იგი სიხარულით და სიყვარულითაო თაყაიშვილის სამ. ისტ. ქრ. გვ. 52). ჩვენა ვხედავთ, რომ შავშეთის ხალხი სრულებით თავისუფალია და როგორც უნდა ისე სწყვეტს თავის ბედიღბალს. მაგრამ შეიძლება ეჰვი დაიბადოს იქნებ ხალხი ამ ქვეყანაში იმიტომ არის თავისუფალი, რომ არაბებმა ნაცარტუტედ აქციეს იგი, ერი დაწიოკეს და მემამულენი ამოსწყვიტესო. ისტორიკოსი თითონვე ამბობს „კევი შავშეთისა უშეეებელ იყო მაშინ გარეშე მცირედთა სოფელთასა“ (ibid გვ. 52 და გრიგოლ ხანძ. ცხ., გვ. ა).

ვთქვათ ზემომოყვანილი ცნობა მართლაც დიდი ნდობის ღირსი არ არის, თუმცა-კი ძნელი საფიქრებელია რომ ყველა მემამულეები ერთბაშათ ამოეწყვიტათ არაბებს; ჩვენ მოვიყვანთ სხვა რამდენიმე საბუთებს, რომლებიდანაც სჩანს, რომ გლეხი მიწის სრული მესაკუთრეა, მაშასადამე მებატონისაგან დამოუკიდებელი და თავისუფალია. ნიკორწმინდის მე XI-ს. სიგელში სახელდობრ ნათქვამია: „ჯინჭარაის ძისა გლეხისაგან ვეუდე ნაოთხადი გენ.ხისა. ჩუენთანა ედვა და ღვისაკუთრე და მივეც ზრახა... მუნვე მეტეხარას ჯინჯინობისაგან ვეუდე გენაკი ჩვენსა გლეხსთანა ედვ და მივეც ფური... ქრონიკები II, 45 საწირისვე ღ“თის მშობლისა გლეხისაგან ვეუდე გენაკი და მივეც ფური“-ო (თ. ჟორდანია. ქრონიკები II, 48). ყველა ეს გლეხები მამულის სრული პატრონები არიან, თავიანთ ქონებას თავისნებისამებრ. ჰყიდიან; შეიძლება მხოლოდ უკანასკნელი გლეხი იყო ეკლესიის ყმა იმიტომ, რომ მას მეიდველი ღ“თის მშობლის გლეხს უძახის, მაგრამ ისიც მამულის მესაკუთრე ყოფილა. ჩვენამდის მოაღწია კიდევ ერთმა სიგელმა 1250-60 წ. სადაც მოხსენებულია თავისუფლად მოსიარულე გლეხი, რომელიც სავენახე ადგილებს იღებს გასაშენებლად და თავის ოფლითა ცხოვრობს. სიგელში სწერია: „რუეთს საკურთხეველისა საგლეხოსა გენაკსა ზ“ კ“ნი ვინმე სხდომად იუნეს არამემამულენი მინ.ა გენაკად აშენა და იგინი კ“ნი კიდ ნ.ვიდესო. (შიო მღ. ისტ. საბ. 59). ყურადღების ღირსია აქ ის ცნობა, რომ ვენახის გამშენებელნი არამემამულენი ყოფილან, ე. ი. ის მიწა რომელიც მონასტრისაგან გასაშენებლად აულიათ, მათი საკუთრება არა ყოფილა, რომ, როცა თავიანთი პირობა აუსრულებიათ და უეკველია შრომის ფასი მიუღიათ, სხვა ადგილას წასულან. ერთი სიტყვით ისანი თავისუფალ გლეხები არიან, ხან ერთგან იღებენ მაწის საგენახედ, ხან მეორე ადგილს და თავიანთ შრომათ იყავს ინაზენენ. ამგვარივე „კარეთ მოსუდი“ გლეხი თამარ მეფის შიომღვიმისადმი 1202 წ. ნაწყალობებ სიგელშიაც არის მოხსენებული (ibid. გვ. 27). მაშასადამე ჩვენ დავრწმუნდით, რომ საქართველოში მე-IX—XIII ს. ს. თავისუფალი გლეხები იყვენ.

მაგრამ ზემომოყვანილ საბუთებშივე შეგვხვდა ცნობები ყმების შესახებაც, მაგალითად საეკლესიო გლეხების შესახებ იქ სადაც ნიორწმინდის სიგელში ნათქვამია „მუნვე მეტეხარას ჯინჯინოძისაგან ვიყიდე გენაკი ჩვენსა გლეხსთანა ედვაო,“ სადაც მოხსენებულია „ღ“თისმშობლის გლეხი“. რა-კი ეს უკა-

ნასკნელი ვენახსა ჰყიდის, ეტყობა, იგი მისი საკუთრება იყო. მაშასადამე საეკლესიო ყმები მესაკუთრეები ანუ მემამულენიც იყვენ. შიომღვიმისადმი 1202 წ. ნაბოძებ სიგელში მოხსენებულია სამეფო გლეხი, რომელსაც „სასეფოს“ ეძახდენ (შიომღ. ისტ. სამ. 26) და იქიდანა ჩანს, რომ სასეფო გლეხებსაც საკუთრება ჰქონიათ. იქ პირდაპირ არის ნათქვამი. „ესე მიწანი... ვენაკი ჰქონდეს მათ გლეხთაო (ibid. 27). რომ სასეფო და საეკლესიო ყმებსაც საკუთრება ჰქონდათ, იმითი მტკიცდება, რომ შეწირვის დროს მათ „მათითა სახლითა მამულითა ნასყიდითა და უსყიდველითა“ სწირავდენ (ibid. 27). იყვენ აგრეთვე საბატონო ანუ აზნაურების ყმებიც, მაგრამ მათ შესახებ იმ დროინდელი ცნობები ძალიან ცოტა მოიპოვება.

საბუთებიდან ჩანს, რომ ეკლესიანი ყმა კლესიანი უფროდენ შემამულეებსა; იყვენ ისეთნიც, რომელთაც ბატონები ჰყოდენ ცალ-ცალკე ეკლესიანი. ეტყველია, საკუთრება არა ეკნებოდათ. მაგალითად ნიკორწმინდის სიგელში სწერია: ვარაზვაჩემ შემოსწირა ძისა მისისათვს ფუთს კლეხი: ბ:.. წირქვალელისა ძემან შემოსწირა კლეხი: ბ: და მას თანა შემოატანეს ჯორი: ა; ძოლოგა: ა: კრმალი: ა: (ქრონიკები II, 45)... შუმერს ყოველ შეჯდომისგან კლეხი: ა:.. ყოველ ცხალთს კლეხა აბულატარისაგან: ა: და მივეც ცხენი ხუადი ორი: სტავრაგა კაბაგა ა: დრაჰკანი კონსტანტინატი: გ: და ავშარგა რკინისანი“ (ibid 48) ყველა ეს კლეხები კერძო პირების ყმები არიან, იქნებ შემამულე აზნაურებისც ეფეოდენენ და, როგორც ჩანს, ეფლებას ძალიან მოკლებული ყოფილან იმიტომ, რომ მათ ისე ყიდიან ვითარცა საგანს და როგორც რომაელები ეძახდენ, „instrumentum vocalé“-ს წარმოადგენდენ. ზემომოყვანილ ნაწყვეტიდანა ჩანს, რომ კლეხს სხვა და სხვა ფასი ჰქონდა, ზოგი ძვირად იყო ნაყიდი, ზოგი კიდევ ერთი ფურის ფასად. სამწუხაროდ საბუთში აღნიშნული არ არის, რაზე იყო დამოკიდებული ამგვარი ფასების განსხვავება: პირად ღირსებაზე თუ სხვა რაიმე მიზეზის გამო.

ყველა გლეხებს, მდგომარეობისა და შეძლების განურჩეველად, „მსოფლიონს“ ეძახდენ. მაგრამ რას წარმოადგენდა „სოფელი“, ვინ განაგებდა მას? ყველა „მსოფლიონი“ ერთ თვითმმართველ საზოგადოებას ან საგამგეო ერთეულს შეადგენდენ თუ არა? იქნებ თვითმმართველობა თავისუფალ გლეხებსა ჰქონოდეთ, თორემ სასეფო საეკლესიო და საზნაურო გლეხებს, როგორც საბუთებიდანა ჩანს, ამ დროს (IX-XIII.) თვითმმართველობის ნიშანწყალიც არ ეტყობათ. სოფელში გამგედ „სოფლის მამასახლისი“ იყო; თუმცა ეს თანამდებობა პირველად გვხვდება ბაგრატ IV-ის კანონების ერთს ნაწყვეტში, რომელიც ათაბაგ ბექა და აღბულას სამართალშია შეტანილი, და შიომღვიმის 1227-30 წ. სიგელში შიომღ. ისტ. სამ. 53-54), მაგრამ იგი უძველეს დროიდანვე არსებობდა საქართველოში და საგვარეულო წესწყობილების ნაშთად უნდა ჩაითვალოს (იხ. ჩემი Государ. строй др. Грузіи и др. Арменіи); მამასახლისს გარდა სოფლის გზირიც არის მოხსენებული ზემოდასახელებულ შიომღვიმის სიგელში (შიომ. ისტ. სამ. 54). სწორედ ამ საბუთიდანა ჩანს, რომ მამასახლისი მთელი სოფლის საქმეს არ განაგებდა და მას ყველა გლეხების საურავი არ ეკითხებოდა. სამონასტრო და საეკლესიო ყმების საქმეებს მონასტრისა და სამღვდელოების მიერ დანიშნული გამგე ანუ ხელისუფალი დაურევდა ხოლმე. თუ ჩვენი კაცი და მდუმის ჩამოეკიდნენ ამბობს ქართლის ერისთავი გრიგოლ, ჩვენის კაცისკენ სამართალი მამასახლისმან ჩვენმან ადგის“ (შიომ. ისტ. ს. 53). რაკი ამ სიტყვებს ქართლის ერისთავი სწერს ამიტომ „ჩვენის კაცისაგან“ ან იმის საკუთარ ყმა-გლეხებს უნდა ნიშნავდეს, ან საეკლესიო და სასეფო ყმებს, რომელნიც მას, როგორც ქართლის უმთავრეს ხელისუფალს, ექვემდებარებოდენ. ეკლესიო გლეხები ერისთავის მამასახლისს არ ექვემდებარებოდენ და რასკვირველია, არც შეეძლებოდა, რომ საეკლესიო ყმებს დანარჩენ სოფლელებთან საერთო სასოფლო დანესებულება ჰქონოდათ. საბუთებიდან ჩანს, რომ „მეფეს ხელისუფალი“ მონასტრის (მამასახლისსა და ბერეის) დაუნებული კაცი თუ და არა თუ ხატის გლეხების არწყული (ვაჰანის ძეგლი, თავი 2, შიომ. ისტ. სამ. 39). ამ გვარად, იმ სოფლებში, სადაც გლეხები სხვა და სხვა დაწესებულებათა ყმებად ითვლებოდენ, საერთო თვითმმართველობა არ არსებობდა. მაგრამ, იქნებ სასეფო და საბატონო ყმებსა ჰქონდათ თვითმმართველობა? ამ საკითხზე პასუხის მოცემა ძნელია. ერისთავის სიტყვები: მაძასახლისმან ჩუენმან (ibid. 53), „მამასახლისი ჩენი (ibid. 54).—მგონი, უნდა გვიჩვენებდეს, რომ სოფლის მამასახლისი ერისთავს დანიშნული უნდა ეფეოდეთ და არა გლეხების არწყული; მართლაც, სასეფო და საბატონო ყმების არჩეული რომ ყოფილიყო იგი, განა, არჩევანში საეკლესიო ყმებიც არ მიიღებდენ მონაწილეობას, ან არა და, განა, მათი სასამართლო და დასაურვებელი საქმე მამასახლისს არ ეკითხვოდა? საბუთებს ეტყობა, რომ სოფლის წესწყობილებაში IX—X-ს. გაცილებით უფრო ადრე ბევრი არსებითი ცვლილება უნდა მომხდარიყოს; ამის გამო ერთ დროს უძველესს ხანაში, რასაკვირველია, სოფლელებს სამამასახლისო თვითმმართველობა ეკნებოდათ, მაგრამ IX—XIII საუკ. ს. შესახებ ამის დამამტკიცებელი საბუთები არ მოგვეპოვება. პირიქით, ჩვენ დავრწმუნდით, რომ სოფლის კლეხების მარგა გამგეობა რამდენიმე ნაწილად თუ დაეფეოდა ყმების კუთვნილების დაკვირვებ: სამონასტრო გლეხებს ცალკე მმართველი ჰყავდათ თავზე დაყენებული, სასეფო და საზნაურო ყმებს ცალკე. ზემოთ გამორკვეული იყო, რომ სასამართლო საქმეები სოფლად კლეხებს შორის, საეკლესიო ყმებს კარგ, სოფლის მამასახლისს ეკითხოდა ხოლმე; მაგრამ ყოველთვის ასე არა ყოფილა. ბაგრატ მეფის კანონების ერთ ნაწყვეტიდანა ჩანს, რომ სამოსამართლო მოვალეობა მას მხოლოდ მე-XI საუკუნეში ჩაებარეს. „ვინც მოძღვარი იყოს ანუ მეფეთა წინაშე ზრდილი და ნამყოფი კაცი იყოს, ან კარგი სოფლის მამასახლისი იყოს... ეს დასვეთ ბჭედ“-ო (ათაბ. ბექა და აღბულას, სამართალი § რ-ა). ბაგრატ მეფეს, ეტყობა, სასამართლოს წყობილება შეუცვლია და კერძოდ გლეხების შორის უთანხმოებათა გასარჩევად მამასახლისი დაუნიშნია. მაგრამ მეფის სიტყვა—„კარგი“ მამასახლისი—გვაფიქრებინებს, რომ იქნებ მოსამართლე თითოეულ სოფელში კი არ იჯდა, არამედ რამდენიმე სოფელში ერთი. ვინ იყო ხოლმე ჩვეულებრივ სოფლის მოსამართლედ, ვიდრე ბაგრატი ზემომოყვანილ წესს შემოიღებდა, საბუთებიდან არ ჩანს. საეკლესიო ყმები საზოგადოდ კათალიკოზის საჭართალს და მის მიერ დაყენებულ მოსამართლეს ექვემდებარებოდენ, ეს ცხადადა ჩანს დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ნაბოძებ ანდერძიდან (იხ. შიომ. ისტ. სამ.); მაგრამ იქნებ ყოველთვის ასე არ იყო. მხოლოდ ზოგიერთ მონასტრებს უბრალესობა მინიჭებული ჰქონდათ საკათალიკოზო საჭართალს მაგიერ თავისაგანვე „ბჭეები“ ჰყოფილიან. შიომღვიმის მონასტერს ასეთი უფლება დავით აღმაშენებელმა უბოძა (ibid). რიგი უთანხმოება და დავა, ან ხანდა ხანდა

სიო და სასეფო ან სასზნაურო ეკლის შორის ზამოგრდებოდა ხოლმე, მაშინ მამასახლისი და ხელისუფალი ერთად არჩევდენ საქმეს და საერთო კანაჩენს დაადგენდენ ხოლმე. მე-XIII საუკუნეში სოფლის მოსამართლეებს—მამასახლისს და ეკლესიის ანუ მინისტრის ხელი ეფალს თითანგე ძალეფალთ ალსრულებაში თავიანთი კანაჩენი; ამას მაშინ სამართლის ალებას ანუ „სამართალთა დაურგვა“-ს ეძახდენ (იხ. შიო მღ. ისტ. საბ. გვ 54, 1227—30 წ. სიგელი). მხოლოდ, რიცა შეერთებულ სასამართლის კანაჩენი იყო ასასრულებელი ან დასაურგებელი, მაშინ ის მახელე ალებდა ხოლმე სამართალს, რომლის კლეხიც კმეტეუნდებოდა (ibid).

ზემოთ ჩვენ ეკლეხის საკუთრებაზე გვქონდა ლაპარაკი საზოგადოდ. ეხლა საჭიროა ამ საკუთრების რაოდენობის ან ეკლეხების ეკონომიურ მდგომარეობის გამორკვევას შევუდგეთ. ამ მიწას, რომელიც კლეხს ჩაეუდებრივ ეჭირა ხოლმე და რომელ ზედაც იგი იჯდა, „ფუძ“-ს ეძახდენ. შიო მღვიმის მონასტრისათვის შეწირულ სიგელში ტოხაძე ასახელებს: „ერთი ფუძე ეკლეხი დათოს ვაკაშა აისძე... (ბწერ) ველოდ მი ორითა ფუძითა. ორი ესე მისა მიმდგომი ორი ფუძე ეკლეხი“ (შიო მღ ისტ. საბ. გვ. 24). თამარ მეფის წყალობის წიგნში ნათქვამია: „მის წლისა... სათავესა ზედა ეკლეხი (სასეფო) ხის მაწად ერთი და კუმლად ორი“-ი (შიო მღ. ისტ. საბ. 26) ცოტა ქვეით იმავ საბუთში სწერია: „ეკლეხი ფუძედ ერთი და კომლად ორიო“ (ibib. გვ. 28). მაშასადამე, ამ ორ წინადადებიდან ცხადად ჩანს, რომ განსაზღვრულ რაოდენობის მიწას, რომელზედაც ეკლეხი იჯდა ხოლმე, „ფუძეს ეძახდენ. რაკი ეს მასალები სასეფო ეკლეხებსაც შეეხება, და საეკლესიოსაც, ეტყობა „ფუძე“ და „კომლი“ საერთო ტერმინად უნდა ჩაითვალოს. რამოდენა იყო ეს ფუძე? ზემოთმოყვანილ მაგალითებიდან ჩანს რომ ფუძის რაოდენობა კომლის რაოდენობაზე არ იყო დამოკიდებული, შეიძლება ერთ ფუძეზე ორი კომლი მჯდარიყო ერთის მაგიერ; ფუძე არ იცვლებოდა, ოჯახი კი, შეიძლება, კომლობრივ გამრავლებულიყო. რამდენი ღღიური იყო ფუძე, ამის გამორკვევა, რასაკვირველია, ბოლოდ დაახლოებით შეიძლება. მწიგნობართუხუცესი და ვაზირი ანდონი ზემოაღნიშნულ ორ კომლად მცხოვრებ ერთ ფუძე ეკლეხის შესახებ სწერს: „ამათ ეკლეხთა ორთავე სწორად მივსცეთ მიწანი მონასტრისაგან სხალტბას სახელდებით ბოტკოს და დიდვალს ადგილსა ათისა და წყაროისა თავსა ორისა ადგილს ეკ ნახიო“ (შიო მღ. ისტ. საბ. 28). მაშასადამე, ფუძე თორმეტ ღღიურ მიწას და ეკნახს უდრის, ანუ თითო კომლს ღღიური მიწა და ნახევარი ეკნახი ეკუთვნოდა. იქნებ მონასტერმა ამ შემთხვევაში ჩვეულებრივზე ცოტა მეტი მისცა, მაგრამ ამისკვალობაზე ფუძის რაოდენობის წარმოდგენა დაახლოებით მაინც შეიძლება. ჩვენა ვნახეთ, რომ ზოგჯერ ერთ ფუძეზე უკვე ორი კომლი იჯდა; 1250—60 წ. სიგელში „ორა მემამულე ეკლეხნი“ ორიან მოხსენებულნი, რომელთაც, ალბად, თავიანთი მიწა ორა ჭქონიათ ან ალარა ჭეოფნიდათ და სხვის მიწეს საკენოდ იღებდენ იჯარით. ეტყობა ფუძე ისე დაქუცმაცებული იყო, რომ დასამუშავებლად ალარა ღირდა და იძულებული იყვენ სხვაგან წასულიყვენ და იქ ეშოვათ ლუკმა პური. მაშასადამე, მე-XIII ს. საქართველოში ალარ უმიწოდ ეკლეხები ეოფილან. რომელნიც შეშაობით ირჩენდენ თავსა. საბუთებიდან ჩანს, რომ ისინი მიწებს იღებდენ [illegible]ვენახის გასაშენებლად, ან კორდსა სტეხავდენ [illegible] სახნავ მიწებს აკეთებდენ. ეს შიომღვიმის სიგელიდან მტკიცდება: „რეეთს საკურთხეველისა საგლეხოსა ეკნახსა ზედა კეცნი ვინმე სხდომად ალარეს რა მეამეულენა. მიწა ეკნახ[illegible] ეშენ. და იგინი კაცნი კიდე წავიდეს. (შიომღ. ისტ. ს. 59) ეკნახის კაშერებაში მეამეულის ან ნახევარი ეკნახი ერდა მიეკა, ან ფულად დაეჯადოებოდა. (ibid. გვ. 59, 60).

რაკი ფუძე ეკლეხის განსაზღვრულ მიწის რაოდენობას შეადგენდა, ალბათ ფუძეზეც იყო ეკლეხებად ალაგ ხალიდ. ეს ეკონომი II-ის შემდეგ სიკვლიდან მტკიცდება... „მოგუალსენა... იოანე ქართლისა მთავარ-ეპისკოპოსმან... სოფლის-აკარის საქმე... რომელი ჩუენისა ზრახისა შებმა ალდა ფუძესა ზედა“ (1082 წ. შიო მღ. ისტ. ს. 13). მაშასადამე, ეკლესიადი ფუძეს ალდა. უეჭველია, მარტო ძალის შებმა არ იქნებოდა ფუძეზე გაწერილი, სხვა ეკლესიადებიც ფუძეზე იქნებოდა დადებული. მაინც და მაინც ჩვენ ვიცით, რომ ეკლესიას უმთავრესი ეკლესიადები და ხარჯი მიწას, ეძრავ საკუთრებას ანვა. ალბათ, ამის დასამტკიცებელი საბუთი სამღვდელო კაცს შეეხება, მაგრამ უეჭველია, იგი ჩვეულებრივ წესს გვიხატავს.—არა მგონია, რომ სამღვდელოებისათვის შემოეღოთ ამ მხრივ განსაკურებული რაიმე რიგი. რომ ეკლესიადი მიწას ალდა, შიომღვიმის შემდეგ სიგელიდან ჩანს: „შენ ზოსიმეს ალდელსა, ბითვად მოცემულსა ზ[illegible] სტეფანეი მამულისაგან, რომელსა მსახური არ[illegible] ზედა ალ[illegible] მისსა ნაცვალსა სტეფანე გარდა ხდის: საეკლესიოსა და სამეფოსა სამსახურსა—კულუხსა, ღალსა და ეკეკლესიოსა ალმოსაღებელსა, ჰკრეს მოცემულ არს ესე მიწა ზითვად“ (შიომღ. ისტ. ს. 1250-60 წ.).

ალ. ჯავახიშვილი

რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი**
გამომცემელი **თ-დი პავლე ი. თუმანიშვილი.**

საქართველოს ეკონომიური ისტორია

თავი მეორე

ვაჭრები და ხელოსნები. მრეწველობა და აღებმიცემობა.

როგორც სოფელი მიწადმოქმედების კერად იყო და არის ეხლაც, ისე ქალაქი განსაკუთრებით აღებ მიცემობის და მრეწველობის ბუდეა. ვაჭრები და ხელოსნები უფრო ქალაქ ადგილებს ეტანებოდენ. ვაჭრების გარდა იქ მხოლოდ მოხელეები ცხოვრობდენ, მაგრამ ისინი სხვა წოდებას ეკუთვნოდენ. ქალაქის მუდმივი მკვიდრნი უძველეს დროიდგან „მოქალაქეებად“ იწოდებოდენ (იხ. აბო თბილელის ცხოვრება. საეკლ. მუზ. გამოც. გვ. 33, ქართლ. ცხ., გვ. 375, 470 გამ. ჭიჭინაძესია.) უკვე სტრაბონი აღნიშნავს, რომ პირველ საუკუნის დამდეგს ქართველებს კარგად მოწყობილი ქალაქები ჰქონდათ, სადაც შენობებს ხუროთმოძღვრების წესის მიხედვით აგებდენ, კრამიტით ხურავენ, მოედნებს კი საუცხოვო საზოგადო დაწესებულების სახლები ამშვენებდენო (Geographica lib. XI cap. 3).

იმ დროს, რომელიც ჩვენის გამოკვლევის საგანს შეადგენს, რასაკვირველია, განსაკუთრებით ტფილისი და ქუთაისი იყო განთქმული. ამათ გარდა მე-VIII—XIII საუკუნის საისტორიო წყაროებში შემდეგი ქალაქებია მოხსენებული: ოლთისი (ქართ. ცხ. 311) მცხეთა (ibid. 316) არტანუჯი (სუმბატის ქრონიკა. ე. თაყაიშვილის გამ. 73), ახალქალაქი (ქარ. ცხ. 325), ოძრხე (ib. 428), რუსთავი (ib. 431). ატენი, მე-VI საუკუნეში ბაგრატ მეფის მიერ აშენებული (იხ. ატენის წარწერა, თ ჟორდანია, ქრონიკები I, 260), დმანისი (ქარ. ცხ. 395) და ჟინვანი (ქარ. ცხ. 432). უეჭველია სხვა ქალაქებიც იქნებოდა იმ დროში, მაგრამ, რაკი წყაროებში პირდაპირ აღნიშნული არ არის, ამიტომ ჩვენ მათი სახელები არ გამოგვიწერია. პირველი ადგილი სივრცითაცა და სიმდიდრითაც ამ ჩამოთვლილ ქალაქებს შორის ტფილისს ეჭირა, მეორე—ქუთაისს; მაგრამ უკანასკნელი განსაკუთრებით ქართული ქალაქი იყო და ამის გამო უფრო საინტერესო იქნებოდა მისი სამოქალაქო წესწყობილებისა და ცხოვრების შესწავლა; ტფილისი სწორედ ამ ხანის განმავლობაში, სახელდობრ მე-VIII-XI საუკუნეში, არაბების ხელში იყო; მხოლოდ დავით აღმაშენებელმა განდევნა ისინი და საქართველოს დედაქალაქი სამშობლოს დაუბრუნა. ამისგამო ტფილისის სამოქალაქო ცხოვრებას არაბების წესრიგის გავლენა ეტყობა. სამწუხაროდ, იმ დროინდელი ქუთაისი არც ერთ საისტორიო თხზულებაში არ არის აწერილი. ამის გამო პირდაპირ ტფილისის შესწავლას უნდა შევუდგეთ.

არაბების მწერლების სიტყვით ტფილისი დერბენდზე უფრო პატარა ყოფილა. ქალაქს გარეშემო ორი თიხის ზღუდე ჰქონია შემოვლებული და სამი კარები ჰბმია (ალ-ისტახრი Карауловъ. Свѣдѣнія арабск. писат. о Кавказѣ. Сборн. мат. для опис. мѣстн. Кавказа XXIX, გვ. 11—13). აბოს ცხოვრებიდან ჩანს, რომ ტფილისში ციხე მდგარა (საეკლ. მუზეუმის გამ. გვ. 32). ქალაქში მტკვარზე ორი ხიდი ყოფილა გადებული სწორედ იმ ადგილას, სადაც ეხლა ავლაბრის ხიდებია. ხიდები ტფილისს ისანთან აერთებდენ (ქარ. ცხ. 3256), ამ ორივე ხიდზე აღმართული იყო ჯვარი (ib. გვ. 32). ხიდთან, მტკვრის იქითა ნაპირას, იმ კლდეზე, რომელიც მტკვარს დაჰყურებს, ერთი შენობა იდგა, რომელსაც მე-VIII საუკუნეში სადილეგო“-ს ეძახდენ (ib. გვ. 32). დილეგი ქართული სიტყვა არ არის, იგი სპარსულად ტუსაღსა ნიშნავს; მაშასადამე, სადილეგო სატუსაღო ანუ საპყრობილე უნდა ყოფილიყო. მდებარეობის აღწერიდან მტკიცდება, რომ ეს სადილეგო იმ ადგილას მდგარა, სადაც ეხლა მეტეხის ციხეა. ქალაქის შუაგულში ამირის ტაძარი, ანუ დარბაზი იყო, ხოლო ზღუდის გარეთ, ვგონებ სადილეგოს მახლობლად, ქალაქის სასაფლაო ჰქონდათ. ამ ადგილას, იოანე საბანისძის სიტყვით, „საგოდებელ ეწოდების, რამეთუ მუნ არს საფლავები კაცთა მის ქალაქისათა“ (ib. 32). ზღუდეს ორი კოშკი ჰქონდა: ერთს

წყალყინის კოშკს ეძახდენ, მეორეს თაბორისას, იქ ქალაქის მცველი ჯარი იდგა ხოლმე (ქარ. ცხ. 325). ქალაქის კარები კლიტეებით იკეტებოდა (ibid. 325). ალ ისტაპრის თქვით, ტფილისი ძალიან აყვავებული, - ხილითა და ბოსტნეულობით მდიდარი ქალაქი იყო*)

ტფილისი როგორც აღნიშნული იყო, სარკინოზთა შემოსევის შემდეგ დავით აღმაშენებლამდე არაბებისა და სპარსელების ხელში იყო. მართალია, იგი უკვე ბაგრატ IV-ე ჰქონდა ერთ ხანს დაპყრობილი (ქარ. ცხ 325), მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ მისმა სახელოვანმა შვილიშვილმა შეერთა საქართველოს. თანამედროვე ისტორიკოსი ამბობს „მეორესა წელსა :დიდ- მეფეშინ ქალაქი ტფილისი, პირველსავე ომსა, ოთხს წელს ქონებულ სპარსთა, და დაუმკვიდრა მეფეთა თჳსთა საჭურჭლად და სახლად თჳისად საუკუნოდ. ქრონიკონი იყო ტმბ. (ქარ. ცხ. 364). ეს თარიღი 342 უდრის 1122 წელს ქრ. შემდეგ.

მეფემ რომ ტფილისი აიღო, გაჯავრებულ გულზე ქალაქი არ დაინგრა და, არაბების ისტორიკოსის შენიშვნით დინ იუსუფ, ანუ სიბტ იბნ ალ-ჯაუზის სიტყვით, აიკლო და გადასწვა. მაგრამ მერე მორბილებულა და ცდილობდა ქალაქის მკვიდრთა გული მოეგო მეფემ მაჰმადიანებს უპირატესობა მიანიჭა, მან დააწესა, რომ ტფილისში ღორი არავის დაეკლა, პარასკევობით მაჰმადიანებს ნება ჰქონდათ მეჩითში შესულიყვნენ და ელოცათ: ქართველები საზოგადო აბანოში იმ დროს, როდესაც იქ მაჰმადიანები იყვნენ, არ უნდა შესულიყვნენ. იგივე ისტორიკოსი მოგვითხრობს, ვითომც დავით აღმაშენებელს მაჰმადიანებისათვის აღეთქვას დიუბეესა და დინარზე ლვთის, მის წინასწარმეტყველისა (მუჰამმედის) და ხალიფების სახელები იქნება აღბეჭდილიო (იხ. Defréméry. fragm. géogr. et histor. Caucase et Russie mérid. journal Asiatique 1849 თიბათვე. ამის ქართული თარგმანი ი. მაჭავარიანის მიერ მოამბეშიც დაბეჭდილია 1897 წ. № XII გვ. 6—7). ამ უკანასკნელ ცნობას დავითის მოკრილი ფულები უარჰყოფენ; იქ არც მუჰამმედის, არც ხალიფს სახელები არ აწერია, პირიქით, არაბულად ფულის ზურგზე ზედწერილი (legenda) აქვს: მეფეთ მეფე დავით გიორგის ძე, მესსიის ხმალიო. დიმიტრი I ფულს კი მართლა მეფის სახელის გარდა აწერია „ალ-მოკტაფი ამირალ-მუმინინა (ხალიფა მოკტაფის სახელია); მისივე სხვა ფულს ხალიფა მასუდის სახელიც აწერია. უეჭველია, არაბების ისტორიის ცნობაც დიმიტრის ამგვარ ფულებზე უნდა ყოფილიყო დამყარებული; მაგრამ დასკვნაში არაბ მწერალს, ეტყობა, შეცდომა მოსვლია, თორემ დავით აღმაშენებელს რომ მართლა ასეთი პირობა დაედო, მაშინ ხომ მის მოკრილ ფულსაც უნდა ჰქონოდა ხალიფ ს სახელი. მის ფულებს კი, პირიქით, თითქოს გინგებ, მაჰმადიანების გულის გასახეთქად, ეწერა „ქრისტეს ხმალიო“.

მხნე მეფე გულმოდგინედ შეუდგა ქალაქის განახლებას და აღებმიცემობას ყოველისფრით ხელს უწყობდა. მან მგზავრებისათვის ქარვასლები და სასტუმროები აგო (შემსეედ დინ იუსუფ, ibid.). ყველგან, საცა კი საჭირო იყო „აღაშენა კიდნი მდინარეთა სასტიკთა და გზანნი საწყინოდ სავალნი ქვა-ფენილ ყენა“-ო, მოგვითხრობს მემატიანე (ქარ. ცხ 373). მერე ქვაფენილი ხომ პირველი საქმეა აღებმიცემობის აღორძინებისათვის და სწრაფ მდინარეებზე გადებული ხიდები მიმოსვლას გააადვილებდა და ქარავნები შეუფერხებლივ ივლიდენ. დიდებულ მეფის ჩამომავლობაც ვაჭრებსა და მოგზაურებს თავის დახმარებას არ აკლებდენ. რომ ზამთარშიც საძნელო არა ყოფილიყო მიმოსვლა, თამარ მეფემ „ფუნდუკი, ანუ სასტუმრო აუშენა გზის პირას (ვახუშტის გეოგრაფია, მ. ჯანაშვილის გამოც. 51); მაშვრალი ვაჭარი და მოგზაური ღამე და თოვლნამქერის დროს თავს შეაფარ ბდა და ტაროსის გამოდარებას მოუცდიდა. ქალაქ ტფილისის მთავარ გამგეს ქართველ მეფეების დროსაც წინანდებურად ამირას ეძახდენ (ქარ. ცხ. 413), მაგრამ ეხლა „ტფილისისა და ქართლის ამირასა“ მეფე ჰნიშნავდა ქალაქის მკვიდრებთაგან. თამარ მეფის ისტორიკოსი იხსენიებს აბულასანს. იგი იყო „ტფილისის მკვიდრთაგანი, თავადი და მეფეთ მეფესგან წოდებულ კეთილ დასხმული ამირად ქართლისა და ტფილისისა“ (ib. 313), იგი „თავადი“ იყო ქალაქისა, უმთავრესი პირი. სხვა მომცრო ქალაქებში, როგორც. მაგ. მცხეთასა დაატენში, ამირას მაგიერობას ციხისთავი სწევდა, მგონი (იხ. ევსტათი მცხეთელის ცხოვრება, Рай Грузіи და ატენის წარწერა, ეორდანიას ქრონიკ. I 206). ქალაქის უმთავრესი ზედამხედველობა და უზრუნველყოფა ებარა ერთს ამირასი ხელქვეით მოხელეს, რომელსაც „შურტაჲ“ ეძახდენ ხოლმე (შიომღ. ისტ. სამ. გვ. 11, 12). ეს სიტყვა არაბულია, — „შურტაჲ“. იგი ჰიდეთის მცველების უფროსად ითვლებოდა და ქალაქში წესიერებას იცავდა ხოლმე (იხ. A. von Kremer. Culturgeschichte d. Orients, I. 190, 182). გიორგი II ის სიგელიდან ჩანს, რომ შურტს ქალაქის ბაზრისა და ბაღის ზედამხედველობა უნდა ჰქონოდა (შიომ. ისტ. ს. 11, 12). ქალაქის ამირას გარდა ტფილისში, როგორც ეტყობა, საბჭოს მაგვარი დაწესებულება ყოფილა, რომლის წევრებს მაშინ ქალაქის ბერეს ეძახდენ (ქარ. ცხ 325). თვით სახელი „ბერი“ გვიჩვენებს, რომ ისინი წლოვანობითა და გამოცდილებით მკვიდრთა მიერ პატივცემულნი იქნებოდენ ქალაქის ბედიღბალი ხოლოდ ამათ შეეძლოთ გადაეწყვიტათ, მაგალითად, როცა ამირა ჯაფარი გარდაიცვალა, ბაგრატ მეფესთან „მოვიდეს ტფილელნი ბერნი. . ეჴმდეს ქალაქი და უკეს სასწრაფოდ (ქარ. ცხ. 325). მეფე საქმით გართული იყო და ჯეროვნად ყური არ ათხოვა. როცა იგი ქართლს ჩამოვიდა, „მოვიდეს სხვანი მკმობელნი ბერნი ტფილელნი. წარემართა ტფილისად და მოეგებნეს ქალაქის ბერნი, დარბაზის ყმანი, ცხენოსანნი დიდმის ველსა, და ყოველი ერი ქვეითი დაეაბმული, დედათა და მამათა სიჭრაველე იყო მოედანსა... შეეყვანეს, მოავლეს ქალაქი“ (ქარ. ცხ. 325). ერთი სიტყვით, მემატიანეს სიტყვებიდანა ჩანს, რომ ბაგრატისათვის ტფილისის გადაცემა ქალაქის ბერეს გადაუწყვეტიათ, რამდენიმე თავიანთთაგანი წარმომადგენლად გაუგზავნიათ მეფისთვის და ქალაქის გადაცემას ჰპირდებოდენ, — „უკადდენო“. რაკი „ბერეს“ შეეძლოთ დაჰპირებოდენ, ტფილისს გადმოგცემთო, — ეტყობა, მათ უფლება და ჰონდობილება ჰქონიათ ქალაქის მკვიდრთაგან; ისინი ქალაქის ბედიღბლის მეურნე მზრუნველნი და გადამწყვეტნი ყოფილან. უეჭველია, ქალაქის ბერეები მკვიდრეთა მიერ უნდა ყოფილიყვენ ამორჩეულნი, ისინი ქალაქის წარმომადგენე-

*) რასაკვირველია, ტფილისი სავაკრო სახლებით, დუქნებით, ანუ, როგორც მაშინ ეძახდენ ხელმე, „ქულბაქებით“ იქნებოდა სავსე ქალაქი უეჭველბაქად წარმოუდგენელია. რაკა, მაგ., ბაგრატ მეფემ ატენი ქალაქად აქცია, მან თავდაპირველად სახახლე ადგილნი და ხაქულბაქნი დანიშნა და სახლები და ქულბაგნ აგებინა (ატენის წარწერა მე-IX-ს ეორდანიას ქრონიკა. I, 206). ქულბაგი, ანუ ქულბაკი, ქართული სიტყვა არ არის და სპარსულ „ქულბეჰ“-იდან არის წარმომდგარი ქალაქში ყოველთვის ცალკე ფარული ალაგი იყო ხოლმე, საცა მოქალაქენი თავს იყრიდენ ხოლმე. ასეთ ალაგს „მოედანს“ ეძახდენ (ქარ. ცხ. 325).

ლები იყვენ და ამირას დარბაზის მოხელეებზე ანუ დარბაზის უმებზე მაღლა იდგენ. როცა, მაგალითად, ბაგრატ მეფე ტფილისს მოუახლოვდა, ყველაზე წინ სწორედ „ქალაქის ბერები“ მიეგებენ და წაუძღვენ, ხოლო მერე დარბაზის უმანი, იმათვე შეებრძანეს მეფე ტფილისში და ქალაქსა გარშემოატარეს. მაშასადამე, ქალაქის ნამდვილი პატრონები „ქალაქის ბერები“ ყოფილან. ამირა „ბატონი“ იყო, „ქალაქის ბერები“ კი საქალაქო თვითმართველობის წევრები ყოფილან. რიცხვით რამდენი იყვნენ ისინი, დანამდვილებით არ ვიცით, მაგრამ მათ შეეძლოთ ქართველ მეფისათვის დესპანებად „ბერები“ ორ სხვა და სხვა ენად გაეგზავნათ, „მოვიდეს სხვანი მკმობელნი ბერნი ტფილელნიო“ (ქარ. ცხ. 325), — უეჭველია, ბლომად ყოფილან: ათ კაცზე მაინც მეტი იქნებოდენ.

ყველა მოქალაქენი ერთს საზოგადოებრივ წრეს შეადგენდენ; ჭირში თუ ლხინში ისინი ერთად მოქმედობდენ. რუკნ ედინზე რომ გაიმარჯვეს ქართველებმა, მეფისა და ძლევა მოსილ ჯარის დასახვედრად და პატივსაცემელად „შეეკაზმა მოქალაქეთ თბილისიო“, გვიამბობს თანამედროვე ისტორიკოსი (ქარ. ცხ. 470). აქ მოქალაქენი ტფილისის პატრონებად არიან გამოყვანილი და ერთობლივ რთავენ ქალაქს სადღესასწაულოდ, რომ გამარჯვებულ ლაშქრისათვის თავიანთი სიყვარული ეჩვენებინათ.

მოქალაქეებს თავიანთი მოსამართლეცა ჰყავდათ; ეს ცხადად ჩანს ბაგრატ მეფის კანონების იმ ნაწყვეტიდან, რომელიც ათაბაგ ბექა და აღბულას სამართალშია შეტანილი. მეფე ურჩევს, მოსამართლედ „ვინცა მოძღვარი იყოს, ანუ მეფეთა წინაშე ზრდილი და ნამყოფი კაცი იყოს, ან კარგი დიდ-ვაჭარი, ან კარგი სოფლისა მამასახლისი იყოს, ის დასვი ბეედო (§ რ“ე): „კარგი დიდი ვაჭარი ჭკვიანი იქნების და კარგად ეცოდინების ბრობა და ეს მართლოს არას იტყვისო“ (§ რ“ა), განმარტავს მეფე. ამ გამოკვლევის პირველ თავში ახსნილია, რომ სოფლის მამასახლისი გლეხების მოსამართლედ ინიშნებოდა. „მეფეთა წინაშე ზრდილი და ნამყოფი კაცი“ აზნაურებისათვის უნდა ყოფილიყო. ვინც იცის, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ძველად საქართველოში წოდებრივ განსხვავებას და პატივს, ის, რასაკვირველია, მიხვდება, რომ „დიდ-ვაჭარი“ შეიძლებოდა მხოლოდ ვაჭრების და საზოგადოდ მოქალაქეების მოსამართლედ ანუ ბეედ ყოფილიყო. ვაჭრის მოსამართლეობას რომელი დიდებული აზნაური ან მოხელე დაკმორჩილებოდა? ამის გამო უეჭველია, რომ დიდვაჭარი მოქალაქეთა მოსამართლედ იქნებოდა. ზემოთ მოყვანილ ნაწყვეტიდან ჩანს, რომ ამ მოსამართლეს მოქალაქენი კი არ ირჩევდენ, არამედ ხელმწიფე მეფე ჩინდნიდა და ბაგრატ მეფის გადაწყვეტილების თანახმად მხოლოდ მოქალაქეთა უმაღლეს წრეებიდან ერთერთ დიდ ვაჭართაგანს ირჩევდა ხოლმე. არაბების ისტორიკოსის იბნ-ალ ასარის თხზულებიდან ჩანს, რომ ტფილისში მაჰმადიანთა ბატონობის დროს ქალაქის მოსამართლე ყადი ყოფილა (Detremg. Fragm. géorg. et histor. Caucase ibid); თუმცა ჩვენ მატიანეებში არაფერია ნათქვამი, მაგრამ დავით აღმაშენებლის და მის მემკვიდრე ქართველ მეფეების მოღვაწეობის მიმართულების მიხედვით შეიძლება გადაჭრით ვთქვათ, რომ „ყადის“ თანამდებობას არ გააუქმებდენ, მაგრამ იგი მხოლოდ მაჰმადიან მოქალაქეთა მოსამართლედ იქნებოდა.

ზემოჩამოთვლილ მოხელეებს გარდა ქალაქში იყვენ ბაეის ამკრეფი და სასწორთან დაყენებული დაბალი მოხელეები. ბაეი გიორგი II მეფის სიგელსა და დაკით აღმაშენებლის ანდერძშია მოხსენებული (შიომღ. ისტ. ს. 11). რასაკვირველია, ცალკე მოხელე უნდა ყოფილიყო, ალბათ ბაეის აკრეფას ადგა. რომ ქალაქში მესასწორეც იქნებოდა, ისედაც ცხადია, მაგრამ ამის საკმაო საბუთი არ არის. ბაგრატ IV-ის 1058 წლის სიგელში სხვათა შორის „საკოშრის“ გადასახადიც არის დასახელებული (შიომღ. ისტ. ს. 4). როგორც საბალახე ბალახზე დადებული გადასახადი იყო, ისე, „საკოშრე“, რასაკვირველია, კოშრის გადასახადი იქნება. ხოლო ეს სიტყვა ქართული არაა და სომხურ կշիռ — კშირისაგან არის წარმომდგარი. ეს სიტყვა სასწორსა ნიშნავს. მაშასადამე საკოშრე უნდა სასწორზე დადებული გადასახადი ყოფილიყო. რაკი სწორედ იმ სიგელში, სადაც პირველად ბაეია მოხსენებული, მოხელეთა შორის შუტაც არის დასახელებული (შიომღ. ისტ. ს. 11, 12) და რაკი იგი მოედნის ზედამხედველი იყო, შეიძლება მებაეე და მეკოშრე მისი ხელქვეითი მოსამსახურეები ყოფილიყვენ.

ამგვარად გამოირკვა: ქალაქის ბატონად ამირა ითვლებოდა; მას მისდევდა შუტა — ქალაქის მცველთა უფროსი, წესიერების დამამყარებელი და მოედნების ზედამხედველი; მგონი მასვე ექვემდებარებოდენ მებაეე და მესასწორე. ქალაქის პატრონებად და გამგეებად მკვიდრთა მიერ ამორჩეული „ბერები“ იყვნენ, ხოლო მსაჯულად — დიდ ვაჭართაგან მეფის დანიშნული „ბეე“

ივ. ჯავახიშვილი

(შემდეგი იქნება)